პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯი ,,მერმისის''მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“დამატება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
წევრები: ვალერი ჯაჯანიძე

ქ. თბილისი 2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი ,,მერმისი''

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 209467646

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ კოლეჯი ,,მერმისის" მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილი იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ დამატების შესახებ.
ცენტრის დირექტორის №MES 4 22 0001470139 (17.11.2022წ.), ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით ვიზიტის განხორციელება სსიპ - კოლეჯში „მერმისში“ 2022 წლის 29 ნოემბერს , მისამართზე: ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის ჩიხი №9 -ა.
ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა დღის წესრიგი, რომლის მიხედვით განხორციელდა ვიზიტი.
ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ,ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ვიზუალური დათვალიერება ,კერძოდ: მატერიალური რესურსების, სასწავლო გარემოს , ბიბლიოთეკის და სხვ. შედგა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებთან. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე დაწესებულებამ გამოავლინა მიმღებლობა. ზოგადად, ადმინისტრაციული წარმოების პროცესმა ჩაირა მშვიდ,თანამშრომლობით გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

–

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.8. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ტექნიკური ხასიათის უზუსტობის გამო, ცვლილება შეიტანოს საგანმანათლებლო პროგრამაში,ამოიღოს საერთო სწავლის შედეგებში არსებული ორი შედეგი ,,შეარჩიოს სათადარიგო ნაწილები და დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები".

2.2.1.5. სასწავლო მოდულებზე, გარდა კონკრეტული მოდულის სასწავლო რესურსისა მითითებულია კოლეჯის საკუთრებაში არსებული და თემატიკასთან მონათესავე ლიტერატურაც, რაც გარკვეულწილად ქმნის გაურკვევლობას, თუ უშუალოდ რომელი სასწავლო რესურსი ეკუთვნის მოცემულ მოდულს.ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია მოდულში მიუთითოს მხოლოდ ის სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

2.4.1.6. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მოახდინოს ძაბვის ქვეშ მყოფი, წნევისა და დატვირთვით მომუშავე მოწყობილობების უსაფრთხოდ მოხმარების მიზნით მოწყობილობებზე უცხო ენაზე დატანილი წარწერების შეცვლა, ქართულ ენაზე გაკეთებული ანალოგებით, რათა პროფესიული სტუდენტებმა კარგად გაიაზრონ უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებული საკითხები კონკრეტულ მოწყობილობებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილების შეკეთებაში/ Basic Vocational Qualification in Vehicle Repair
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯი ,,მერმისის'' დირექტორის ბრძ. N 04-291; 09.11.2022;ცვლილება ბრძN 04-296;15.11.2022
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი N9ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ -კოლეჯი ,,მერმისის“ დირექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N 04-44 ბრძანების (ცვლილება ბრძ.N 04-220;21.06.21) ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესის“ თანახმად, დაწესებულება პროგრამის დამატებას ახორციელებს პროგრამის ინიცირებისა და მიზანშეწონილობის დადგენით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ,, მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთების ‘’ მიხედვით, კოლეჯი ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებას (ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „ავტოსატრანსპორტო საშუალებების და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი“ ორ პროგრამას: „ძრავას შეკეთება“ და „სავალი ნაწილის შეკეთება“)სპეციალისტების მომზადებაში, შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის არსებობას , შრომის ბაზრის კვლევის შედეგებსა და კარიერული დასაქმების შესაძლებლობებს.

დაწესებულება დაეყრდნო სხვადასხვა კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვით, მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შემკეთებლის პოზიცია მოხვდა 55 ბაზარზე ყველაზე მოთხოვნად სფეროს შორის (https://edu.aris.ge/news/romelia -yvelaze-motxovnadi-profesiebi-saqartveloshi-mtavrobis-kvlevis-shedegi.html). კოლეჯის მოკვლევის მიხედვით, მზარდია კოლეჯის პარტიონიორებისგან ამ სფეროს პროფესიონალი კადრების მოზიდვის საჭიროება, რასაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაქმების მაძიებელთა ვებ-გვერდებზეც (www.hr.ge; www.jobs.ge; yell.ge, city24.ge, ss.ge) ხშირად აწყდება. ამასთან, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მონაცემებით 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის 46% ფლობდა ავოტმობილს.

ეს რიცხვი 2011 წელს მხოლოდ 26%-ს შეადგენდა, რაც მზარდი ტენდეციის მაჩვენებელია. ამასვე ადასტურებს საქსტატის მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც 2021 წლის ბოლოს ქვეყანაში 1 490200 ერთეული ავტომობილი იყო რეგისტრირებული. სწორედ ამ მონაცემების გაანალიზების საფუძველზე კოლეჯი მიზანშეწონილად თვლის აღნიშნული პროგრამის დამატების საჭიოებას.

როგორც ავღნიშნეთ,კოლეჯი უკვე ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „ავტოსატრანსპორტო საშუალებების და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი“ ორ პროგრამას: „ძრავას შეკეთება“ და „სავალი ნაწილის შეკეთება“. კოლეჯის განმარტებით და ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯს აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ჰყავს კვალიფიციური ადამიანური რესურსი პროგრამის განხორციელებისათვის. ამავე ჩარჩო დოკუმენტში არსებული „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება ხელს შეუწყობს საინჟინრო მიმართულების მომსახურების სფეროს სპეციალისტების მომზადების არეალის გაფართოებას და განვითარებას, დაწესებულების მისია (,,წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების გზით.'') და სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი მიზანი და მისი შესრულების ინდიკატორი(2027 წლისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარება და ინტერნაციონალიზაცია) შესაბამისობაშია პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების დასაბუთებასთან. შესაბამისად, დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, ეფუძნება დასაბუთებას და შეესაბამება მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2.1.1.2.საგანმანათლებლო პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დაშვების წინაპირობა (საბაზო განათლება), სრულ შესაბამისობაში მოდის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან.

2.1.1.3. დაწესებულების დირექტორის მიერ 2018 წლის 20 ივლისის N 04-357(ცვლილება ბრძN04-142;29.11.2019) ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ-კოლეჯი ,,მერმისის“პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომლის თანახმად ,საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, ადამიანური და მატერიალური რესურსის რაოდენობას და მის სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება კოლეჯში არსებული რესურსი - A, B და AC ინტეგრირებული სასწავლო გარემო და საათობრივი რესურსი:

- თეორიულ აუდიტორიაში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა (A გარემო);
- კომპიუტერულ კლას-კაბინეტში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა (B გარემო);
- „ელექტროობის“ სახელოსნოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა (AC ინტეგრირებული გარემო);
- ავტოსახელოსნოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა (AC ინტეგრირებული გარემო);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის სასწავლო გეგმაში პრაქტიკული კომპონენტის საათების რაოდენობა;
- კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში: „სავალი ნაწილის შეკეთება“ და „ძრავას შეკეთება“ იმ მოდულების კვირეული დატვირთვა, რომლებშიც გამოიყენება ავტოსახელოსნო;
- „ელექტროობის“ პროგრამის სასწავლო გეგმაში პრაქტიკული კომპონენტის საათების რაოდენობა;
- მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლების რაოდენობა.

კოლეჯის რესურსი - თეორიულ აუდიტორიაში, კომპიუტერულ კლას-კაბინეტში, ელექტროობის სახელოსნოში სამუშაო ადგილების რაოდენობა შეადგენს 20-20. პროგრამის „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ ავტოსახელოსნოს საერთო ფართი შეადგენს 173მ2, ხოლო საათობრივი რესურსი შედგენს 60 საათს (ორ ცვლაში). კოლეჯის პროგრამების „სავალი ნაწილის შეკეთება“ და „ძრავას შეკეთება“ სასწავლო გეგმებში პრაქტიკული კომპონენტის საათების რაოდენობა არ აღემატება 20-20 საათს. ასევე, „ელექტროობის“ პროგრამის სასწავლო გეგმაში პრაქტიკული კომპონენტის საათების რაოდენობა არ აღემატება 20-20 საათს.

,,მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ერთ ცვლაში შეადგენს 20 სტუდენტს.

2.1.1.4. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი პროგრამის განაცხადის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, არის კოლეჯის საკუთრებაში. სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, პროგრამა სრულადაა უზრუნველყოფილი შესაბამისი თემატიკის თანამედროვე ლიტერატურით.

2.1.1.5. საგანმანათლებლო პროგრამას „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთებას'' არჩევითი მოდულები არ აქვს;

2.1.1.6. სსიპ კოლეჯი ,,მერმისის" ,, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების შესახებ" კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N 04-44 ბრძანების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის მიერ ბრძანება N 04-291 (09.22.2022).

2.1.1.7. პროგრამის სახელწოდება ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, იგი თანხვედრაში მოდის პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და მისაღწევ სწავლის შედეგებთან, პროგრამის დასახელება არაა შეცდომაში შემყვანი;

2.1.1.8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი 07119-პ საფუძველზე და მისი ერთ-ერთი კონცენტრაციაა. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის განხილვის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ვერ მოხერხდება პროგრამით განსაზღვრული საერთო სწავლის შედეგებში არსებული ორი შედეგის ,,შეარჩიოს სათადარიგო ნაწილები და დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები“ მიღწევა, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით აღნიშნული საკითხი მათთვის ცნობილია და წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის უზუსტობას, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მათ იხელმძღვანელეს ჩარჩო დოკუმენტში არსებული საერთო სწავლის შედეგების მიხედვით და რეალურად ეს აღმოჩნდა შეცდომაში შემყვანი. დაწესებულების მიერ წარმოგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში იგულისხმება პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია.დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ტექნიკური ხასიათის უზუსტობის გამო, ცვლილება შეიტანოს საგანმანათლებლო პროგრამაში,ამოიღოს საერთო სწავლის შედეგებში არსებული ორი შედეგი ,,შეარჩიოს სათადარიგო ნაწილები და დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების ,დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“-(ბრძ N04-44; 10.02.2020);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ,, სსიპ-კოლეჯის ,,მერმისი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის

განსაზღვრის წესი’’(ბრძ N 04-375; 20.07.2018);

- დაწესებულების მისია და სტრატეგიული გეგმა (ბრძN 04-64 ; 24.02.2020; N04-28; 16.02.2021);
- კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“(ბრძ, N 04-291;09.11.2022,ცვლილება ბრძN04-296; 15.11.2022);
- დაწესებულების ანგარიში შრომის ბაზრის ჩატარებული კვლევის შესახებ;
- დაწესებულების წარმომადგნელებთან ინტერვიურირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ კოლეჯ „მერმისის“ საკუთრებაშია ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით. განაცხადიდან ირკვევა, რომ კოლეჯს აქვს გაფორმებული მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტებთან, რომელიც მხოლოდ კურსდამთავრებულთა სტაჟირებას გულისხმობს და შესაბამისად იგი არ იქნება გამოყენებული სწავლების პროცესში. პროგრამას თან ახლავს განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალური რესურსი, რომელიც კოლეჯის C გარემოშია განთავსებული. ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალური რესურსების შესაბამისობა მოთხოვნილი ზღვრულ რაოდენობასთან, შედეგად დგინდება, რომ მოთხოვნილი 40 სტუდენტის ერთდროულად მიღებას კოლეჯი ვერ შეძლებს, რამდენადაც AC გარემოში ხორციელდება კიდევ ორი პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ და ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ სწავლება, რაც შეუძლებელს გახდის მოცემული პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარგლებში ორ ცვლაში სასწავლო პროცესის წარმართვას. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ კოლეჯი გეგმავს ერთი მიღებაზე მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი.

2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი აქედან 3 ქართული ენის მოდულითვის, 11 ზოგადი მოდულებისთვის, ხოლო 4 პროფესიული მოდულებისთვის. ვიზიტის დროს გადამოწმდა მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების არსებობა და მისი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან. პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ მოდულებს ჰყავს 4 განმახორციელებელი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას და შესაძლებელს ხდის პროფესიული მასწავლებლმა ისარგებლოს კანონით მინიჭებული უფლებებით, როგორიცაა ანაზღაურებადი თუ არაანაზღაურებადი შვებულება, საავადმყოფო ფურცლის გამოყენება და სხვა დაგეგმილი თუ დაუგეგმავი ღონისძიებები.

2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

სსიპ -კოლეჯი ,,მერმისის“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ‘’ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 11 დეკემბრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

N 04-446 ბრძანების 2.27 მუხლით დადგენილია პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელის და ყველა პედაგოგის პირადი საქმის შესწავლა. წარმოდგენილი მასალები დამაკმაყოფილებელია და პედაგოგების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტაცია: დიპლომები და სერტიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების უმეტესობას გავლილი აქვთ ტრენინგი ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი", რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატები, აღნიშნული ტრენინგ-კურსის თემატიკის ერ-ერთი კომპონენტია მოდულური სწავლების თავისებურებები.

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ,,მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება პირადი საქმის მასალებით, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია შესაბამისი დოკუმენტით, კერძოდ ,სსიპ - კოლეჯ ,,მერმისი" - ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი, დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N04-44 ბრძანებით, ცვლილება №04-220, 21.06.2021 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება პირადი საქმის მასალებით, პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია კოლეჯში განსაზღვრული,ხელშეკრულებით, სადაც მოცემულია მისი მოვალეობები,ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან , ინტერვიუირებისას გამოიკვეთა , რომ კოლეჯის პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს, მონაწილეობას იღებდა პროგრამის შემუშავებაში და აცხადებს მზაობას იმუშაოს პროგრამის განვითარების მიმართულებით როგორც პროგრამის შეფასების, განვითარების, ასევე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულებას კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ნოემბრის N 04-330 ბრძანებით დამტკიცებული აქვს,, სსიპ კოლეჯი ,,მერმისის“ ბიბლიოთეკის დებულების, ბიბლიოთეკის ფონდით და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია კოლეჯის ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური სახით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.ბიბლიოთეკაში განთავსებულია ქსელში ჩართული კომპიუტერები.ვიზიტის პერიოდში გადამოწმებისას ადგილზე აღმოჩნდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი, გარდა ამისა კონცენტრაციის მოდულების განსახორციელებლად ელექტრონული სახითაა მოცემული ევროპული, აზიური და ამერიკული ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოები ინგლისურ და რუსულ ენებზე. უნდა აღინიშნოს რომ, მიუხედავად სასწავლო რესურსის არსებობისა სასწავლო მოდულებზე მიწერილია კოლეჯის საკუთრებაში არსებული და თემატიკასთან მონათესავე ლიტერატურაც, რაც გარკვეულწილად ქმნის გაურკვევლობას, თუ უშუალოდ რომელი სასწავლო რესურსი ეკუთვნის მოცემულ მოდულს, ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია მოახდინოს აღნიშნული საკითხის გადახედვა და მოდულს მიაწეროს მხოლოდ შესაბამისი ლიტერატურა.

2.2.1.6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აქვს ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განხორციელების მიმართულებით კარგი პრაქტიკა.ევროპული განვითარების ფონდის მიერ კოლეჯი ,,მერმისის" მაგალითზე ინკლუზიური პროფესიული განათლება საუკეთესო, ინოვაციურ და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ პირველ წარმატებულ ინიციატივად დასახელდა, კოლეჯს ჰყავს სსსმ და შშმ სტუდენტების მხარდასაჭერად ინკლუზიური განათლების გუნდი. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ,სადაც განსაზღვრულია სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.დაწესებულებაში დასაქმებულია ინკლუზიური განათლების კოორდინატორი,ინკლუზიური განათლების სპეციალისტი,ჟესტური ენის თარჯიმანი,სსსმ პირთა ასისტენტი.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით დადგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის პროცედურები.

2.2.1.7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით (დანართი N5 პროგრამის ბიუჯეტი), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება'' ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შევსებული ბიუჯეტით. დადგენილია რენტაბელობის ზღვარი 4 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან და მისი მთავარი შემოსავლების წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერია. ასევე წარმოდგენილია საპროგნოზო ბიუჯეტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება"(ბრძ, N 04-291;09.11.2022);
- სსიპ კოლეჯის ,,მერმისი: დირექტორის 2021 წლის 11 დეკემბრის N 04-446 ბრძანება ,, სსიპ კოლეჯი ,,მერმისი" პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ";
- სსიპ კოლეჯის ,,მერმისი" დირექტორის 2021 წლის 2 ოქტომბრის N 04-344 ბრძანებით დამტკიცებული ,, სსიპ კოლეჯი ,,მერმისი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ კოლეჯის ,,მერმისი“ დირექტორის 2020 წლის 26 ნოემბრის N 04-330 ბრძანებით დამტკიცებული ,, სსიპ კოლეჯი ,,მერმისი“ ბიბლიოთეკის დებულების, ბიბლიოთეკის ფონდით და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“;
- პრაქტიკის ობიექტთან დადებული მემორანდუმით;
- თანამშრომელთა პირადი საქმეებით და შრომითი ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულებაში შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებულია ,,კოლეჯის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი"(ბრძ N 04-169; 02.12.2019, ცვლილება ბრძN 04-151;07.07.2020), რომლის მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესება და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლის მოდელს (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე).სასწავლო პროცესისი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.დაწესებულება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების ფარგლებში ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას სპეციალური კითხვარების მეშვეობით (პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის განმახორციელებელი პირის).

დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დამსაქმებლები) მხრიდან უკუკავშირი კონკრეტული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სწორედ მათ მიერ შევსებული კითხვარების მეშვეობით, რის შემდეგაც მოხდება მათი ანალიზი და შემდგომი რეაგირება. პროგრამის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯში შემუშავებულია რიგი მარეგულირებელი დოკუმენტებისა, კერძოდ,დირექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N04-44 ბრძანებით (ცვლილება ბრძ N 04-220;21.06.2021), შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების წესი, რომელშიც გაწერილია პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურები და მექანიზმები.

დოკუმენტში დეტალურადაა ასახული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურა და წესი, მოდულის შემუშავების წესი მოდულური პროგრამების დამტკიცების წესი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების წესი.

2.3.1.2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N04-44 ბრძანებით, შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების წესის თანახმად, პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, პროგრამაში სწავლის შედეგების დამატება/ამოღების; სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების და სხვა გარემოებების საფუძველზე.არსებულ პროგრამაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია კოლეჯის თანამშრომლებს, დამსაქმებელს, სხვა დაინტერესებულ პირს, რომელიც წერილობთიი ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი.ცვლილების შეტანის ინიცირებას განიხილავს მუდმივმოქმედი კომისია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დირექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N04-44 ბრძანებით შემუშავებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების წესი‘‘;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

„მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შემუშავებულია სასწავლო გეგმა. გეგმის თანახმად პროგრამის ხანგრძლივობაა - 15 სასწავლო თვე (61 სასწავლო კვირა), ქართული ენის მოდულების დამატების საჭიროების შემთხვევაში - 18 სასწავლო თვე (71 კვირა). სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები, პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გაწერილი ვადები მოდულების გადაბარებასთან დაკავშირებით. სასწავლო ცხრილები შეიქმნება პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2.4.1.2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, სასწავლო პროცესის ორგანიზება განხორციელდება პროფესიული სტუდენტის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. სასწავლო ცხრილების შედგენა სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მენეჯერის მოვალეობაა, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელსა და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით ხორციელდება. დაწესებულებაში შემუშავებულია წესი, რომლის თანახმად სასწავლო ცხრილები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას ყველა პროფესიული სტუდენტისათვის.

2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

„მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. სწავლების მეთოდები აღწერილია მოდულებში. როგორც ექსპერტების მიერ გადამოწმებული დამადასტურებელი დოკუმენტაციით (ცნობები, სერტიფიკატები და ტრენინგებზე დასწრების ფურცლები) დგინდება, დაწესებულება ზრუნავს პროფესიული მასწავლებლების განვითარებაზე, რაც ასევე ამ კონკრეტული პროგრამის პროფესიულ მასწავლებლებთანაც ხორციელდება.

2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში.

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

„მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული არ აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ კომპანიასთან, რამდენადაც არ საჭიროებს მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას საგაბმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ AC გარემოში განთავსებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და დამუხტული ცეცხლმაქრები, ძაბვისქვეშ მყოფი, წნევისა და დატვირთვით მომუშავე მოწყობილობების უსაფრთხოდ მოხმარების მიზნით მოწყობილობებზე დატანილია შესაბამისი პიქტოგრამები, ხოლო გამაფრთხილებელი წარწერები მოცემულია უცხო ენაზე. სასწავლო სახელოსნო აღჭურვილია ერთი ჩვეულებრივი და სამი სამანქანო კარით, რაც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების დაჩქარებულ ევაკუაციას.დაწესებულებას მიეცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი რეკომენდაცია - მოახდინოს ძაბვის ქვეშ მყოფი, წნევისა და დატვირთვით მომუშავე მოწყობილობების უსაფრთხოდ მოხმარების მიზნით მოწყობილობებზე უცხო ენაზე დატანილი წარწერების შეცვლა, ქართულ ენაზე გაკეთებული ანალოგებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- მოძრავი ქონების ფლობის დოკუმენტაციით;
- ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ბრძN 04-145;22.11.2019, ცვლილება ბრძN 04-28; 03.11.2022), რომლის მე-10 მუხლი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის შეფასების პრინციპებს.განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და შიდა მონიტორინგი, მტკიცებულებების შეგროვება და შენახვა, შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების შედეგების გაცნობა პროფესიული სტუდენტისათვის, განმეორებით შეფასების წესები და შეფასების გასაჩივრების რეგულაციები. ამავე წესის მე-10[1] მუხლით რეგულირდება სტუდენტის შუალედური შეფასების საკითხები; აღნიშნული დოკუმენტების შესწავლის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობასა და სამართლიანობას.

2.4.2.2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (ბრძN 04-145;22.11.2019, ცვლილება ბრძN 04-28; 03.11.2022) მე-11 მუხლი არეგულირებს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმებს. ვერიფიკაციის პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოიცავს სამ ეტაპს: გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას; შეფასების პროცესის ვერიფიკაციას; შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.სასწავლო პროცესისმარეგულირებელი წესის მე-10[3] მუხლის, მე-5 პუნქტის თანახმად, სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან 3 წლის ვადით,რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის ვადით,ამ ვადის გასვლის შემდეგ დაარქივებული მონაცემები ავტომატურად იშლება.

2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პსდ-ს შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განმავითარებელი შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად. განმსაზღვრელი შეფასების შედეგების მიწოდება მოხდება ინდივიდუალურად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი''(ბრძN 04-145;22.11.2019,ცვლილება ბრძN 04-28; 03.11.2022);

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

X. თანდართული დოკუმენტაცია

-თარიღი 26.12.2022 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: